




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 14

2016 წლის 15 თებერვალი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №146 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - ხაშურის სამუსიკო სკოლას სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება სარეაბილიტაციო სამუშაოები, რათა შენარჩუნებული იქნეს შენობაში განთავსებული მატერიალური ქონება და ინტერიერის იერსახე, აგრეთვე 2015 წლის დეკემბრის თვეში ბუნებრივი აირით და ელექტროენერგიით მომხაზურებისათვის საჭირო თანხის გადახდის მიზნით მოხდა შესაბამისი ხარჯის გაზრდა რის გამოც საჭირო გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის № 146 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის 2015 წლის №570/09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №146 განკარგულებით დამტკიცებულ „ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი 2016 წლის პროგრამაში“ პროგრამის ბიუჯეტს დაემატოს 4250 ლარი, საერთო ბიუჯეტი ნაცვალად 188 800 ლარისა განისაზღვროს 193 050 ლარით, დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში ფუნქციონირებს სამი არასამეწარმეო იურიდიული პირი „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხაშურის სამუსიკო სკოლა“, „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება სურამის სამუსიკო სკოლა“ და „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა“. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას მუსიკალური განათლების მიღების პროცესში.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 18, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

მუხლი 2. პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა თანადაფინანსებას, თითოეულ ბავშვზე 26 ლარის ოდენობით სასწავლო და არასასწავლო პერიოდშიც (პედაგოგთა და სხვა პერსონალის სტაბილური და სისტემატური ანაზღაურების უზრუნველსაყოფად).

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს, მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც მთლიანობაში მშობელთა მიერ სწავლების გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა: 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა **193 050** ლარი. თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს პროგრამის შედგენის მომენტისათვის სკოლებში რეგისტრირებულ მოსწავლეთა რაოდენობა (464 მოსწავლე), აგრეთვე, გათბობისა და ელექტროენერჯის უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯი, ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებელი და სიმებიანი კვარტეტი.

დამტკიცებული თანხიდან დაფინანსება განხორციელდეს შემდეგი პროპორციით: სამი არასამეწარმეო იურიდიული პირი ხაშურის, სურამისა და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა – **163 530** (ას სამოცდასამი ათას ხუთას ოცდაათი) ლარით, სიმებიან კვარტეტის ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამა – **5 520** (ხუთი ათას ხუთას ოცი) ლარით და ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლის ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამა – **24 000** (ოცდაოთხი ათასი) ლარით.

№	დასახელება	შრომის ანაზღაურების ხარჯი			
		მოსწავლეთა რაოდენობა	ერთი მოსწავლის დაფინანსების სიდიდე	სუფსიდიების ოდენობა თვითურად	სუფსიდიების ოდენობა წლიურად
1					
2	არასამეწარმეო იურიდიული პირი ხაშურის სამუსიკო სკოლა	265	26	6 890	82 680
3	არასამეწარმეო იურიდიული პირი სურამის სამუსიკო სკოლა	115	26	2 990	35 880
4	არასამეწარმეო იურიდიული პირი ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა	84	26	2 184	26 208
5					144 768

6		გათბობისა და ელექტროენერჯის უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯი.			
7	არასამეწარმეო იურიდიული პირი ხაშურის სამუსიკო სკოლა				14 762
8	არასამეწარმეო იურიდიული პირი სურამის სამუსიკო სკოლა				1000
9	არასამეწარმეო იურიდიული პირი ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა				1000
					16 762
10	არასამეწარმეო იურიდიული პირი ხაშურის სამუსიკო სკოლა	შენობის სახურავის რეაბილიტაციის, ფანჯრის რაფების გაკეთების და მილების შეფუთვის სამუშაოების შესრულების ხარჯი			2000
	სულ სუბსიდიის ოდენობა				163 530

მუხლი 5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მუსიკალური განათლების მიღება.

მუხლი 6. შეფასების ინდიკატორი

სამუსიკო სკოლების მიერ მოწყობილი ღონისძიებების რაოდენობა;

ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა;

მოწვეული სტუმრების რაოდენობა;

სხვადასხვა დონის ფესტივალებსა და კონკურსებში წარმატებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა.